



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



დადგენილება:დ-27. 27240292

თარიღი:29/01/2024

დადგენილება № 01

29 იანვარი 2024 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge; 29/12/2023; 190020020.35.163.016601).

1. დადგენილების **მუხლი 1** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი შემდეგი რედაქციით:

თავი I. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი			2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	65,310.03	32,018.81	33,291.21	48,825.33	9,829.28	38,996.05	45,713.55	7,710.25	38,003.30
გადასახადები	27,896.09	0.00	27,896.09	32,162.66	0.00	32,162.66	33,609.60	0.00	33,609.60
გრანტები	32,328.81	32,018.81	310.00	10,854.28	9,829.28	1,025.00	8,060.35	7,710.25	350.10
სხვა შემოსავლები	5,085.12	0.00	5,085.12	5,808.39	0.00	5,808.39	4,043.60	0.00	4,043.60

II. ხარჯები	28,535.00	3,537.14	24,997.85	30,422.99	1,645.63	28,777.36	39,364.81	4,139.12	35,225.70
შრომის ანაზღაურება	4,005.63	0.00	4,005.63	4,450.57	0.00	4,450.57	5,313.90	0.00	5,313.90
საქონელი და მომსახურება	6,491.06	482.07	6,008.99	6,281.77	265.29	6,016.49	8,118.65	367.82	7,750.83
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
პროცენტი	453.70	0.00	453.70	447.28	0.00	447.28	377.10	0.00	377.10
სუბსიდიები	11,354.86	0.00	11,354.86	13,958.75	0.00	13,958.75	16,217.64	0.00	16,217.64
გრანტები	190.00	0.00	190.00	180.00	0.00	180.00	200.00	0.00	200.00
სოციალური უზრუნველყოფა	1,963.91	0.00	1,963.91	1,886.13	0.00	1,886.13	2,446.75	0.00	2,446.75
სხვა ხარჯები	4,075.85	3,055.07	1,020.77	3,218.48	1,380.34	1,838.14	6,690.77	3,771.30	2,919.48
III. საოპერაციო საღდო	36,775.03	28,481.67	8,293.36	18,402.34	8,183.65	10,218.69	6,348.74	3,571.14	2,777.60
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	17,254.36	13,269.87	3,984.49	30,206.94	18,695.21	11,511.73	21,931.27	10,947.14	10,984.12
ზრდა	19,874.44	13,269.87	6,604.56	32,061.55	18,695.21	13,366.34	23,931.27	10,947.14	12,984.12
კლება	2,620.08	0.00	2,620.08	1,854.61	0.00	1,854.61	2,000.00	0.00	2,000.00
V. მთლიანი საღდო	19,520.67	15,211.80	4,308.87	-11,804.60	-10,511.56	-1,293.04	-15,582.53	-7,376.00	-8,206.52
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	19,397.40	15,211.80	4,185.60	-12,440.31	-10,511.56	-1,928.76	-16,218.33	-7,376.00	-8,842.32
ზრდა	19,397.40	15,211.80	4,185.60	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ვალუტა და დეპოზიტები	19,397.40	15,211.80	4,185.60	0.00			0.00		
კლება	0.00	0.00	0.00	12,440.31	10,511.56	1,928.76	16,218.33	7,376.00	8,842.32
ვალუტა და დეპოზიტები	0.00			12,440.31	10,511.56	1,928.76	16,218.33	7,376.00	8,842.32
VII. ვალდებულებების ცვლილება	-123.27	0.00	-123.27	-635.72	0.00	-635.72	-635.80	0.00	-635.80
ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
საშინაო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
საგარეო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
კლება	123.27	0.00	123.27	635.72	0.00	635.72	635.80	0.00	635.80
საშინაო	123.27	0.00	123.27	635.72	0.00	635.72	635.80	0.00	635.80
საგარეო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
VIII. ბალანსი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი			2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	67930.10	32018.81	35911.29	50679.94	9829.28	40850.66	47713.55	7710.25	40003.30
შემოსავლები	65310.03	32018.81	33291.21	48825.33	9829.28	38996.05	45713.55	7710.25	38003.30
არაფინანსური აქტივების კლება	2620.08	0.00	2620.08	1854.61	0.00	1854.61	2000.00	0.00	2000.00
გადასახდელები	48532.71	16807.02	31725.69	63120.26	20340.84	42779.42	63931.88	15086.26	48845.62
ხარჯები	28535.00	3537.14	24997.85	30422.99	1645.63	28777.36	39364.81	4139.12	35225.70
არაფინანსური აქტივების ზრდა	19874.44	13269.87	6604.56	32061.55	18695.21	13366.34	23931.27	10947.14	12984.12
ვალდებულებების კლება	123.27	0.00	123.27	635.72	0.00	635.72	635.80	0.00	635.80
ნაშთის ცვლილება	19397.40	15211.80	4185.60	-12440.31	-10511.56	-1928.76	-16218.33	-7376.00	-8842.32

მუხლი 3. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 45713,55 ათასი ლარით:

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი			2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	65,310.03	32,018.81	33,291.21	48,825.33	9,829.28	38,996.05	45,713.55	7,710.25	38,003.30
გადასახადები	27,896.09	0.00	27,896.09	32,162.66	0.00	32,162.66	33,609.60	0.00	33,609.60
გრანტები	32,328.81	32,018.81	310.00	10,854.28	9,829.28	1,025.00	8,060.35	7,710.25	350.10
სხვა შემოსავლები	5,085.12	0.00	5,085.12	5,808.39	0.00	5,808.39	4,043.60	0.00	4,043.60

მუხლი 4. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 33609,60 ათასი ლარით:

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
გადასახადები	27,896. 09	32,162. 66	33,609. 60
დამატებული ღირებულების გადასახადი	20,107. 84	22,628. 78	24,609. 60
ქონების გადასახადი	7,788. 25	9,533. 89	9,000. 00
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	5,631.99	7,082.14	6,800.00
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-0.04	-0.05	0.00
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	177.738	219.14	160.00
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1.07	1.83	0.00
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	176.67	217.30	160.00
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	974.56	1,045.44	1,000.00
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1,004.00	1,187.22	1,040.00

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 8060,35 ათასი ლარით:

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
გრანტები	32,328. 81	10,854. 28107	8,060. 35
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0. 00	60. 00	0. 00
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	32,328. 81	10,794. 28	8,060. 35
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	310. 00	435. 00	350. 10
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	310.00	435.00	350.10
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	31,808. 119	9,624. 93	7,342. 44
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	5,724.64	8,667.01	6,864.44
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	478.00	478.00	478.00
მალაქმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	439.16	479.92	0.00
2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა	25,166.32	0.00	0.00
სხვა ტრანსფერები	210. 70	734. 35	367. 82

მუხლი 6. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 4043,60 ათასი ლარით:

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	5,085. 12	5,808. 39	4,043. 60
შემოსავლები საკუთრებიდან	1,859. 56	2,487. 04	1,172. 00
პროცენტები	1,341. 55	1,986. 97	700. 00

რენტა	518.01	500.06	472.00
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	234.69	266.28	250.00
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	283.32	233.78	222.00
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,262.69	1,570.37	1,526.60
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1,191.24	1,512.35	1,461.60
სანებართვო მოსაკრებელი	32.17	33.31	35.00
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.80	1.60	1.60
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	954.00	1,206.64	1,200.00
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	204.27	270.80	225.00
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	71.45	58.02	65.00
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	71.45	58.02	65.00
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1,587.68	1,009.08	1,200.00
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	375.20	741.91	145.00

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 39364,81 ათასი ლარით:

ათასი ლარი

თელავის მუნიციპალიტეტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	28535.00	3537.14	24997.85	30422.99	1645.63	28777.36	39364.81	4139.12	35,225.70
შრომის ანაზღაურება	4005.63	0.00	4005.63	4450.57	0.00	4450.57	5313.90	0.00	5,313.90
საქონელი და მომსახურება	6491.06	482.07	6008.99	6281.77	265.29	6016.49	8118.65	367.82	7,750.83
პროცენტი	453.70	0.00	453.70	447.28	0.00	447.28	377.10	0.00	377.10
სუბსიდიები	11354.86	0.00	11354.86	13958.75	0.00	13958.75	16217.64	0.00	16,217.64
გრანტები	190.00	0.00	190.00	180.00	0.00	180.00	200.00	0.00	200.00
სოციალური უზრუნველყოფა	1963.91	0.00	1963.91	1886.13	0.00	1886.13	2446.75	0.00	2,446.75
სხვა ხარჯები	4075.85	3055.07	1020.77	3218.48	1380.34	1838.14	6690.77	3771.30	2,919.48

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 21931,27 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 23931,27 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი			2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	347.3	33.1	314.3	429.8	0.0	429.8	586.22	0.0	586.2
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	347.3	33.1	314.3	429.8	0.0	429.8	586.22	0.0	586.2
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	17018.5	12441.8	4576.6	28450.5	18613.1	9837.4	20676.38	10947.1	9729.2
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	4993.6	3205.2	1788.4	11968.6	5775.0	6193.6	13058.31	6275.0	6783.3
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1683.8	190.6	1493.2	1465.3	0.0	1465.3	1763.14	531.7	1231.5
02 03	გარე განათება	200.5	0.0	200.5	397.0	0.0	397.0	10.00	0.0	10.0
02 04	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	16.2	0.0	16.2	297.3	0.0	297.3	215.30	0.0	215.3
02 05	ბინათმშენებლობის ღონისძიებები	25.0	25.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.00	0.0	0.0
02 06	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	9198.5	8620.6	577.9	13226.6	12489.3	737.3	4070.35	3560.7	509.6
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებები	786.8	400.4	386.3	698.8	348.8	350.0	1158.27	579.7	578.5
02 10	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	0.0	0.0	0.0	61.5	0.0	61.5	201.00	0.0	201.0
02 11	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	105.3	0.0	105.3	0.0	0.0	0.0	0.00	0.0	0.0
02 12	გამომარაგების სისტემის მოწყობის ღონისძიებები	8.7	0.0	8.7	335.5	0.0	335.5	0.00	0.0	0.0
02 13	მონაწილეობითი ბიუჯირება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	200.0	0.0	200.0

03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	296.3	0.0	296.3	167.9	0.0	167.9	186.5	0.0	186.5
03 01	დასუფთავების ღონისძიებები	296.3	0.0	296.3	165.0	0.0	165.0	0.0	0.0	0.0
03 03	პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებელი ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	0.0	0.0	0.0	2.9	0.0	2.9	186.5	0.0	186.5
03 04	მიუსაფარი ცხოველების განმოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 00	განათლება	1075.9	661.3	414.6	157.6	82.1	75.5	583.2	0.0	583.2
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	10.2	0.0	10.2	69.9	0.0	69.9	123.2	0.0	123.2
04 02	სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	853.1	451.0	402.2	13.0	9.5	3.5	457.0	0.0	457.0
04 03	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	2.3	0.0	2.3	2.1	0.0	2.1	3.0	0.0	3.0
04 04	საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები	210.3	210.3	0.0	72.6	72.6	0.0	0.0	0.0	0.0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი	1015.2	116.7	898.6	2609.3	0.0	2609.3	1892.6	0.0	1892.6
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	558.6	0.0	558.6	1686.4	0.0	1686.4	775.9	0.0	775.9
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	377.2	116.7	260.5	447.3	0.0	447.3	328.6	0.0	328.6
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	1.9	0.0	1.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 05	ძეგლთა დაცვის ღონისძიებები	0.1	0.0	0.1	88.7	0.0	88.7	203.5	0.0	203.5
05 06	დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა	77.5	0.0	77.5	387.0	0.0	387.0	584.6	0.0	584.6
06 00	ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა	121.2	17.0	104.2	246.3	0.0	246.3	6.5	0.0	6.5
06 01	ჯანმრთელობისა და დაცვა	94.2	17.0	77.2	218.5	0.0	218.5	1.5	0.0	1.5

06 02	სოციალური დახმება	27.0	0.0	27.0	27.8	0.0	27.8	5.0	0.0	5.0
სულ ჯამი		19874.4	13269.9	6604.6	32061.6	18695.2	13366.3	23931.27	10947.1	12984.1

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 2000,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	2,620.08	1,854.61	2,000.00
ძირითადი აქტივები	550.06	590.25	200.00
არაწარმოებული აქტივები	2,070.02	1,264.36	1,800.00
მიწა	2,070.02	1,264.36	1,800.00

მუხლი 9. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რეადაქციით:

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი			2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
7.01.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5,707.1	33.1	5,674.0	6,192.5	0.0	6,192.5	7,968.9	0.0	7,968.9
7.01.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	5,707.1	33.1	5,674.0	6,192.5	0.0	6,192.5	7,778.8	0.0	7,778.8
7.01.1.2	ფინანსური და საკუთარი საქმიანობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	190.1	0.0	190.1
7.01.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	453.7	0.0	453.7	447.3	0.0	447.3	377.1	0.0	377.1
7.01.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	57.0	0.0	57.0	62.5	0.0	62.5	70.0	0.0	70.0
702	თავდაცვა	234.5	0.0	234.5	205.2	0.0	205.2	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	16,028.9	12,151.4	3,877.4	27,338.7	18,278.3	9,060.4	19,080.4	9,835.7	9,244.7
7.04.2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა,	105.3	0.0	105.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

	მეთევზეობა და მონადირეობა									
7.04.2.1	სოფლის მეურნეობა	105.3	0.0	105.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7.04.3	სათბობი და ენერჯეტიკა	8.7	0.0	8.7	335.5	0.0	335.5	0.0	0.0	0.0
7.04.3.2	ნავთობი და ბუნებრივი აირი	8.7	0.0	8.7	335.5	0.0	335.5	0.0	0.0	0.0
7.04.5	ტრანსპორტი	6,386.0	3,205.2	3,180.8	13,706.5	5,775.0	7,931.5	15,163.9	6,275.0	8,888.9
7.04.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	6,386.0	3,205.2	3,180.8	13,706.5	5,775.0	7,931.5	15,163.9	6,275.0	8,888.9
7.04.7	ეკონომიკის სხვა დარგები	9,528.8	8,946.3	582.6	13,296.7	12,503.3	793.4	3,916.4	3,560.7	355.7
7.04.7.3	ტურიზმი	0.0	0.0	0.0	61.5	0.0	61.5	201.0	0.0	201.0
7.04.7.4	მრავალმიზნო ბრივი განვითარების პროექტები	9,528.8	8,946.3	582.6	13,235.2	12,503.3	731.9	3,715.4	3,560.7	154.7
705	გარემოს დაცვა	1,683.0	0.0	1,683.0	1,754.6	0.0	1,754.6	1,450.0	0.0	1,450.0
7.05.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1,267.2	0.0	1,267.2	1,133.2	0.0	1,133.2	1,000.0	0.0	1,000.0
7.05.2	ჩამდინარე წყლების მართვა	370.0	0.0	370.0	540.2	0.0	540.2	300.0	0.0	300.0
7.05.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	45.9	0.0	45.9	81.2	0.0	81.2	150.0	0.0	150.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	8,884.3	3,671.1	5,213.2	8,231.3	1,776.1	6,455.2	13,492.8	4,882.7	8,610.0
7.06.1	ბინათმშენებლობა	3,539.0	3,080.0	459.0	2,901.5	1,380.3	1,521.1	6,245.0	3,771.3	2,473.7
7.06.3	წყალმომარაგება	2,767.2	190.6	2,576.5	2,438.9	0.0	2,438.9	3,333.1	531.7	2,801.5
7.06.4	გარე განათება	1,503.9	0.0	1,503.9	1,797.0	0.0	1,797.0	1,640.0	0.0	1,640.0
7.06.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1,074.2	400.4	673.7	1,094.0	395.7	698.2	2,274.6	579.7	1,694.9
707	ჯანმრთელობის დაცვა	212.0	17.0	195.0	380.1	0.0	380.1	270.1	0.0	270.1
7.07.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	212.0	17.0	195.0	380.1	0.0	380.1	270.1	0.0	270.1
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	5,185.7	116.7	5,069.0	7,175.2	0.0	7,175.2	7,292.4	0.0	7,292.4
7.08.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2,311.8	0.0	2,311.8	4,265.2	0.0	4,265.2	3,966.1	0.0	3,966.1
7.08.2	მომსახურება კულტურის სფეროში	2,791.2	116.7	2,674.6	2,852.6	0.0	2,852.6	3,181.3	0.0	3,181.3
7.08.3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	40.0	0.0	40.0	40.0	0.0	40.0	40.0	0.0	40.0
7.08.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	42.6	0.0	42.6	17.4	0.0	17.4	105.0	0.0	105.0
709	განათლება	7,051.9	817.7	6,234.2	7,686.3	286.5	7,399.8	9,522.7	367.8	9,154.8
7.09.1	სკოლამდელი აღზრდა	6,541.6	451.0	6,090.7	7,243.9	9.5	7,234.5	8,967.7	0.0	8,967.7
7.09.2	ზოგადი განათლება	397.6	366.7	30.9	323.8	277.0	46.8	417.8	367.8	50.0
7.09.2.3	საშუალო ზოგადი განათლება	397.6	366.7	30.9	323.8	277.0	46.8	417.8	367.8	50.0
7.09.3	პროფესიული განათლება	112.7	0.0	112.7	118.6	0.0	118.6	137.1	0.0	137.1
710	სოციალური დაცვა	2,911.5	0.0	2,911.5	3,010.9	0.0	3,010.9	3,771.8	0.0	3,771.8
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მოვლა	2,911.5	0.0	2,911.5	3,010.9	0.0	3,010.9	3,771.8	0.0	3,771.8

7.10.1	სეზონური მქონე პირთა სოციალური დაცვა	09.2	0.0	09.2	200.1	0.0	200.1	34.0	0.0	34.0
7.10.1.1	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	32.7	0.0	32.72	34.6	0.0	34.6	45.0	0.0	45.0
7.10.1.2	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	56.5	0.0	56.5	165.6	0.0	165.6	300.8	0.0	300.8
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	205.5	0.0	205.5	251.2	0.0	251.2	302.7	0.0	302.7
7.10.6	საცხოვრებელი უზრუნველყოფა	80.4	0.0	80.4	84.0	0.0	84.0	120.0	0.0	120.0
7.10.7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	1,107.0	0.0	1,107.0	1,186.2	0.0	1,186.2	1,375.0	0.0	1,375.0
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1,429.4	0.0	1,429.4	1,289.4	0.0	1,289.4	1,628.3	0.0	1,628.3
	სულ	48,409.4	16,807.0	31,602.4	62,484.5	20,340.8	42,143.7	63,296.1	15,086.3	48,209.8

მუხლი 10. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო 6348,74 ათასი ლარის ოდენობით.

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 635,80 ათასი ლარის ოდენობით.

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	36,775.03	18402,34	6348,74
მთლიანი სალდო	19,520.67	-11804,60	-15582,53

მუხლი 11. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

თელავის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს (-16218,33) ათასი ლარით:

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	19,397.40	-12440,31	-16218,33
ზრდა	19,397.40		
ვალუტა და დეპოზიტი	19,397.40		
კლება		12440,31	-16218,33
ვალუტა და დეპოზიტი		12440,31	-16218,33

მუხლი 12. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-635,80) ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

თელავის მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიმართ გასასტუმრებელი ვალდებულებები შეადგენს 635,80 ათას ლარს.

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
ვალდებულებების ცვლილება	-123.27	-635,72	-635,80
კლება	123.27	635,72	635,80
საშინაო	123.27	635,72	635,80

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გასასტუმრებელი ვალის ნაშთი 2023 წლის ბოლოს განისაზღვრება 3382,834 ათასი ლარით. მათ შორის „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ფარგლებში გადმოცემული ქონების შესახებ თელავის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების დანართის შესაბამისად 308,188 ათასი ლარი. სასესხო ხელშეკრულება სრულდება 2026 წლის აპრილის თვეში და „საქართველოს ურბანული ტრანსპორტის გაუმჯობესების პროგრამის“ ფარგლებში თელავის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების დანართის შესაბამისად 3074,646 ათასი ლარი. სასესხო ხელშეკრულება სრულდება 2029 წლის აგვისტოს თვეში.

თავი II. 2024-2027 წლების თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტების და პროგრამების აღწერა

მუხლი 13. ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

თელავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მშენებლობა, რეაბილიტაცია, რომელიც გულისხმობს, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებას, რეაბილიტაციას და ახლის მშენებლობას. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება საგზაო, სანიღვრე, გარე განათების სარეაბილიტაციო სამუშაოები, წყალმომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებები, ბინათმშენებლობის პროგრამები, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები, მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

ათასი ლარი

კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	32,436.67	14,718.44	17,718.24
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	13698.64	6274.99	7,423.65
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	12817.63	6274.99	6,542.64
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	514.86	0.00	514.86
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	366.14	0.00	366.14
02 02	წყლის სისტემების განვითარება	3633.14	531.69	3,101.46
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	1763.14	531.69	1,231.46
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	1570.00	0.00	1,570.00
02 02 03	ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ღონისძიებები	300.00	0.00	300.00
02 03	გარე განათება	1640.00	0.00	1,640.00
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	1630.00	0.00	1,630.00
02 03 02	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია/ მოწყობა	10.00	0.00	10.00
02 04	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	1465.30	0.00	1,465.30
02 04 01	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები	215.30	0.00	215.30
02 04 02	მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება	1250.00	0.00	1,250.00
02 05	ბინათმშენებლობის ღონისძიებები	6244.97	3771.30	2,473.68
02 05 01	სახურავების, სადარბაზოების და სხვა	6244.97	3771.30	2,473.68

კოდი	რეკონსტრუქცია შეკეთების ღონისძიებები	2024 წ.	2023 წ.	2022 წ.
02 06	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	4113.35	3560.73	552.62
02 06 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოები	394.91	0.00	394.91
02 06 02	სასმელი წყლის „სოკო“	3.00	0.00	3.00
02 06 03	სრივკის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ღონისძიებები	3,715.44	3,560.73	154.71
02 07	სარიტუალო ღონისძიებები	60.00	0.00	60.00
02 07 01	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	60.00	0.00	60.00
02 08	საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	22.00	0.00	22.00
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებები	1158.27	579.74	578.54
02 10	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	201.00	0.00	201.00
02 13	მონაწილეობითი ბიუჯეტირება	200.00	0.00	200.00

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	02 01		13698,64
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებებიდან გამომდინარე, მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. ქალაქის ქუჩების და სოფლის გზების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე, საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოებს, რომელიც თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ყოველწლიურად. მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს ქუჩების ნაწილი. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული გზების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (ე.წ. ორმოული და ეკრანული შეკეთება), რომელიც განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებიც მოითხოვს შეკეთებას; საგზაო მოძრაობის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა არსებული გადასასვლელების და საგზაო ნიშნების მოვლა-პატრონობა, ახალი ნიშნების დამატება, სინქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა და სხვა. პროგრამის ფარგლებში მოეწყობა გენდერულად მგრძობიარე საგზაო ინფრასტრუქტურა.		
პროგრამის მიზანი	<p>პროგრამის საბოლოო მიზანია თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია; არსებული გზების ვარგის მდგომარეობაში შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა;</p> <p>პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას: მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;</p> <p>მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის;</p> <p>მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა;</p> <p>მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების კაპიტალური შეკეთება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	02 01 01		12817,63
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური		
	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საფარი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ არის დაზიანებული, პროექტის მიზანია გზის სრული რეაბილიტაცია. 2024 წელს დაგეგმილია ქ. თელავში, სოლომონ ლიონიდის ქუჩის II შესახვევის, სარაჯიშვილის ქუჩის, კონსტანტინე ლესელიძის ქუჩის, აბაქარ მაგამედოვის ქუჩის, დოლიძის ქუჩის, თეიმურაზ ბაგრატიონის ქუჩის, ჩოლოყაშვილის ქუჩის ქვაფენილის, ბარბარე ჯორჯაძის ქუჩის, მანაბელის ქუჩის, ალ. ჭავჭავაძის ქუჩის და I და II ჩიხების, ილია ჭავჭავაძის გამზირის, იაშვილის ქუჩის, ახოსპირელის ქუჩის, ზაქარიაძის ქუჩის, ბესიკის ქუჩის, ამირჯიბის ქუჩის, გოშაძის ქუჩის, შ. სვიმონიშვილის და ალ. პუშკინის ქუჩის, ვ. ბარნოვის ქუჩის		

<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>რეაბილიტაცია, მანაბელის ქუჩის და მშვიდობის ქუჩის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, ახმეტელის ქუჩის, ჭადრის ქუჩის, რუსთაველის ქუჩის, ალ. სულხანიშვილის ქუჩის I ჩიხის, დავით აღმაშენებლის გამზირის II ჩიხის, ყვარლის ქუჩის, ნ. ოსტროვსკის ქუჩის, ქლუხორის ქუჩის, თბილისის გზატკეცილის საცხოვრებელი კორპუსების შესასვლელებთან და ეზოებთან მისასვლელი გზის, თამარის ქუჩის ნაწილის და ჩოდრიშვილის ქუჩის II ჩიხის, მუსხელიშვილის ქუჩის მიმდებარე გზის რეაბილიტაცია, სოფელ კურდღელაურის 22-ე ქუჩის მე-4 ჩიხის და 16-ე ქუჩის რეაბილიტაცია, სოფელ წინანდალში 23-ე ქუჩის ნაწილის და 34-ე ქუჩის (სკოლის უბანი) მოასფალტება, სოფელ იყალთოს სკოლის გზის, სოფელ ქვ. ხრდაშენში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (ბუხეშვილების უბანი), სოფელ ყარაჯალაში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (სასაფლაოსკენ მიმავალი გზა), სოფელ ბუშეტში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია, სოფელ წინანდალში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია, სოფელ ვანთაში შიდა საუბნო გზის (ნუსხელიძეების უბანი), სოფელ ნასამხრალში შიდა საუბნო გზის (რკინიგზის უბანი), სოფელ ვარდისუბნის შიდა საუბნო გზის (მარგალიტაშვილების უბანი), სოფელ გულგულაში შიდა საუბნო გზის (ოხანაშვილების უბანი) რეაბილიტაცია; აგრეთვე, მრავალწლიანი პროექტების თანადაფინანსება (ევდოშვილის ქუჩის, სამაჩაბლოს ქუჩის, ყაზბეგის ქუჩის, რობაქიძის ქუჩის რეაბილიტაცია და სოფელ ახატელში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია), საზღვარსაღარეო მომსახურების შესყიდვა, საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის /გადაფასების /ექსპერტიზის შესყიდვა და სხვა. წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, წლის მანძილზე გამოვლენილი ეკონომიების და დამატებით მოძიებული ფინანსებით მოხდება ქვეპროგრამის ფარგლებში სხვა ღონისძიებების განხორციელება.</p>
<p>ქვეპროგრამის მიზანი</p>	<p>თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა;</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მიმდინარე შეკეთება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	02 01 02		514,86
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>საგზაო ინფრასტრუქტურის კაპიტალური რეაბილიტაციის პარალელურად საგზაო ინფრასტრუქტურის რეგულარული და სისტემატიური მოვლა-პატრონობის ღონისძიებების გატარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია მუნიციპალური მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად. საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციისათვის, ვარგის მდგომარეობაში შესანარჩუნებლად. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ასფალტის გზის საფარი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ არის დაზიანებული, საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა - შენახვის სამუშაოები თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ყოველწლიურად, მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს ქუჩების/გზების ნაწილი. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული გზების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (ე.წ. ორმოული და ეკრანული შეკეთება), რომელიც განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებიც მოითხოვს შეკეთებას, პროექტის მიზანია არსებული გზების ექსპლუატაციის ვადის გაზრდა, უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების პირობების შექმნა.</p>		
<p>ქვეპროგრამის მიზანი</p>	<p>თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გზების ვარგის მდგომარეობაში შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება;</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	02 01 03		366,14
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>ქვეითად მოსიარულეთა და საგზაო ტრანსპორტის მოწესრიგებული მოძრაობისათვის და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია მოხდეს სხვადასხვა სახის საგზაო ნიშნების, ქვეითთა გადასასვლელების მოწესრიგება. ვიდრე სამეთვალყურეო კამერების და შუქნიშნების მოვლა-პატრონობა, საჭიროების შესაბამისად მოხდება სხვადასხვა ლოკაციებზე ახალი საგზაო ნიშნების დამონტაჟება, საგზაო მონიშვნების დახაზვა, სინქარის შემზღუდავი ხელვაწიური ბარიერების მოწყობა. უსაფრთხოების მიზნით თოვლიანი ამინდის შემთხვევაში ხორციელდება ქუჩების თოვლისგან გაწმენდა, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული ზოგადი ხედივის და სახელმწიფო ნომრის ამომცნობი კამერების შესყიდვა/რეაბილიტაციის და ახალი სამეთვალყურეო კამერების მონტაჟი, ქ. თელავის ცენტრალურ ქუჩაზე დაზიანებული სამეთვალყურეო კამერების რეაბილიტაციის და ახალი სამეთვალყურეო კამერების მონტაჟი და სხვა...</p>		
<p>ქვეპროგრამის მიზანი</p>	<p>საგზაო მოძრაობის მოწესრიგება. უსაფრთხო გარემოს შექმნა.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების განვითარება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	02 02		3633,14
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური</p>		
	<p>პროგრამა ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფლებში არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციის, არსებული სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის, ჭაბურღილების გამართული ფუნქციონირებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას. საჭიროების</p>		

პროგრამის აღწერა	შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ანაზღაურდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული წყლის ჭაბურღილების ფუნქციონირებისათვის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯები. წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების შედეგად გაუმჯობესდება საყოფაცხოვრებო პირობები.
პროგრამის მიზანი	- სასმელი წყლის მიწოდება; - წყლის სისტემების ექსპლუატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას: მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა; მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	02 02 01		1763,14
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის განხორციელებისას, სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდება სოფელ კისისხევში და სოფელ წინანდალში სასმელი წყლის ახალი ჭაბურღილების მოწყობა. განხორციელდება სასმელი წყლის ჭაბურღილების რეაბილიტაცია (მ.შ. დაზიანებული ტუმბოების ამოცვლა), გამართულად იმუშავებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილები. სოფელ იყალთოში და სოფელ კონდოლში სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობა, სოფელ თეთრწყლებში სასმელი წყლის ჭაბურღილთან ელ.გადამცემი ხაზის მოწყობა, სოფელ წინანდალში სასმელი წყლის ჭაბურღილის რეაბილიტაციის სამუშაოები, სოფელ ლაფანყურში სამარაგო რეზერვუარის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა, ჭაბურღილებზე აღრიცხვის კვანძების მოწყობა და სიმძლავრის გაზრდა; წლის მანძილზე გამოვლენილი ეკონომიების და დამატებით მოძიებული ფინანსებით შესაძლებელი იქნება ქვეპროგრამის ფარგლებში სხვა ღონისძიებების განხორციელება;		
ქვეპროგრამის მიზანი	მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	02 02 02		1570,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამით განხორციელდება სასმელი წყლის სისტემების დაზიანების შემთხვევაში წერტილოვანი შეკეთება, სოფლებში სასმელი წყლის რეზერვუარების გაწმენდა, დაფინანსდება ჭაბურღილების ფუნქციონირებისათვის გახარჯული ელ. ენერჯის ანაზღაურება. განხორციელდება წყლის სასმელად ვარგისიანობის დასადგენად ქიმიური და ბიოლოგიური ანალიზების ჩატარება და სხვა...		
ქვეპროგრამის მიზანი	ქვეპროგრამის განხორციელების მიზანია წყლის სისტემების ექსპლუატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	02 02 03		300,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდა, მოვლა-პატრონობა. წლის მანძილზე გამოვლენილი ეკონომიების და დამატებით მოძიებული ფინანსებით მოხდება ქვეპროგრამის ფარგლებში შესაძლებელია სხვა ღონისძიებების განხორციელება.		
ქვეპროგრამის მიზანი	თავიდან იქნეს აცილებული ქუჩების, ეზოების, სავარგულების დატბორვა და ასფალტის საფარის დაზიანება.		

პროგრამის	კოდი	გარე განათება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
-----------	------	---------------	--------------------------------------

დასახელება	02 03	1640,0
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური	
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. გარე განათების სისტემის მოწყობა გენდერულად მნიშვნელოვანია, რადგან გაუნათებელი ქუჩები განსაკუთრებით რისკის შემცველია ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირებისთვის. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: გარე განათების დაზიანებულ მონაკვეთების შეკეთება, სადენების აღდგენა, მწყობრიდან გამოსული სანათების შეცვლა, მოხდება გარე - განათებაზე გახარჯული ელექტრო ენერჯის ხარჯის ანაზღაურება.	
პროგრამის მიზანი	გარე განათების ქსელის გაფართოება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას: მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის; მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების სისტემის ექსპლუატაცია	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	02 03 01		1630,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსება: გარე განათებაზე გახარჯული ელექტრო ენერჯის ხარჯის ანაზღაურება, გარე განათების დაზიანებულ მონაკვეთების შეკეთება, სადენების აღდგენა, მწყობრიდან გამოსული სანათების შეცვლა და სხვა.		
ქვეპროგრამის მიზანი	გარე განათების სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების ოპერატიულად აღმოფხვრა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების სისტემის რეაბლიტაცია/ მოწყობა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	02 03 02		10,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	განხორციელდება გარე-განათების ქსელზე აღრიცხვის კვანძების მოწყობა/სიმძლავრის გაზრდა და სხვა...		
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის გარე განათებით მაქსიმალურად უზრუნველყოფა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	02 04		1465,30
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური, ა(ა)იპ თელავის სატრანსპორტო სამსახური		
პროგრამის აღწერა	მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება ავტობუსების შეძენა, მუნიციპალური ტრანსპორტის ფუნქციონირებისათვის პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების დაფინანსება, რომლითაც განხორციელდება მუნიციპალური ტრანსპორტის ხარჯების ანაზღაურება და სხვა.		
პროგრამის მიზანი	მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის ფუნქციონირება. მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას: მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		

კოდი	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
------	--------------------------------------

ქვეპროგრამის დასახელება		მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები	ლარებში
	02 04 01		215,30
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება ავტობუსების შეძენა, ქ. თელავში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩენებზე მოდერნიზებული, ენერგოეფექტური და მრავალფუნქციური გადახურული მოსაცდელის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა და სხვა.		
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურება. მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	02 04 02		1250.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის სატრანსპორტო სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალური ტრანსპორტის ფუნქციონირებისათვის ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების დაფინანსება.		
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის ფუნქციონირება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმშენებლობის ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	02 05		6244,97
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შექმნილი საერთო პრობლემების გადაჭრის მიზნით ამხანაგობების მიერ წამოჭრილი თემების განხილვის შედეგად, საკრებულოს მიერ მიღებული წესის შესაბამისად, ბინათმშენებლობით ამხანაგობების თანადაფინანსების პრინციპით - ნაწილობრივ მოსახლეობის რესურსების გამოყენებით დაფინანსდება სახურავების, სადარბაზოების და სხვ. რეკონსტრუქცია - შეკეთების ღონისძიებები. განხორციელდება ქ. თელავში, გიორგი სააკაძის მოედანზე N1, N2 და N3 საცხოვრებელი კორპუსის შესასვლელის და ეზოს რეაბილიტაცია, ერეკლე II გამზირზე N1, N2, N6, N8 და N10 საცხოვრებელი კორპუსის შესასვლელის და ეზოს რეაბილიტაცია, აღმაშენებლის გამზირზე N54, N56, აღმაშენებლის I შესასვლელის N1, N3, N5, N7, N9, N11, 6. დუმბაძის ქ. N20, ალაზნის გამზირზე N26, N28ა საცხოვრებელი კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია, თბილისის გზატკეცილის N26, N28, N30 საცხოვრებელი კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია, ქეთევან წამებულის ქუჩაზე N5, N6, N7 საცხოვრებელი კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია, ქ. თელავში, შოთა რუსთაველის გამზირის №27; №53; №66; №68; №85; №86; N87; N88; №90; №91, №102; №104; №106; №108; №110; №112; №114; №116; N118; საცხოვრებელი კორპუსების შესასვლელისა და ეზოების, ალაზნის გამზ. კორპ. #8, 10, 12, 14, 16, 18, 20, 24 და 6. დუმბაძის ქ. #17, 19 ეზოების, ქ. თელავში აღმაშენებლის გამზ. კორპ #62, კავკასიონის ქ. კორპ #31, 35, 39, 41, 45ა, 45ბ, 45გ, 47, 47ბ, 49, 51, 57, 59, 61 და კავკასიონის შეს. #2 ეზოების რეაბილიტაცია, ქ. თელავში, იოსებ დავითაშვილის ქუჩაზე N13 და N15 საცხოვრებელი კორპუსების შესასვლელის და ეზოების რეაბილიტაცია, სტიქის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხანძრის შედეგად დამწვარი საცხოვრებელი სახლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, წინა წლებში შესრულებული სამუშაოებიდან დაკავებული საგარანტიო თანხების ანაზღაურება, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების შედგენა/კორექტირება/გამოწვანა, ექსპერტიზის მომსახურება და სხვა...		
პროგრამის მიზანი	ბინათმშენებლობით ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება; პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას : მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახურავების, სადარბაზოების და სხვა რეკონსტრუქცია შეკეთების ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	02 05 01		6244,97
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შექმნილი საერთო პრობლემების გადაჭრის მიზნით ამხანაგობების მიერ წამოჭრილი თემების განხილვის შედეგად, საკრებულოს მიერ მიღებული წესის შესაბამისად, ბინათმშენებლობით ამხანაგობების თანადაფინანსების პრინციპით - ნაწილობრივ მოსახლეობის რესურსების გამოყენებით დაფინანსდება სახურავების, სადარბაზოების და სხვ. რეკონსტრუქცია - შეკეთების ღონისძიებები. განხორციელდება ქ. თელავში, გიორგი სააკაძის		

პროგრამის აღწერა	მოედანზე N1, N2 და N3 საცხოვრებელი კორპუსის შესასვლელის და ეზოს რეაბილიტაცია, ერეკლე II გამზირზე N1, N2, N6, N8 და N10 საცხოვრებელი კორპუსის შესასვლელის და ეზოს რეაბილიტაცია, აღმაშენებლის გამზირზე N54, N56, აღმაშენებლის I შესახვევის N1, N3, N5, N7, N9, N11, 5. დუმბაძის ქ. N20, ალაზნის გამზირზე N26, N28ა საცხოვრებელი კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია, თბილისის გზატკეცილის N26, N28, N30 საცხოვრებელი კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია, ქეთევან წამებულის ქუჩაზე N5, N6, N7 საცხოვრებელი კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია, ქ. თელავში, შოთა რუსთაველის გამზირის №27; №53; №66; №68; №85; №86; N87; №88; №90; №91, №102; №104; №106; №108; №110; №112; №114; №116; N118; საცხოვრებელი კორპუსების შესასვლელისა და ეზოების, ალაზნის გამზ. კორპ. #8, 10, 12, 14, 16, 18, 20, 24 და ნ. დუმბაძის ქ. #17, 19 ეზოების, ქ. თელავში აღმაშენებლის გამზ. კორპ #62, კავკასიონის ქ. კორპ #31, 35, 39, 41, 45ა, 45ბ, 45გ, 47, 47ბ, 49, 51, 57, 59, 61 და კავკასიონის შეს. #2 ეზოების რეაბილიტაცია, ქ. თელავში, იოსებ დავითაშვილის ქუჩაზე N13 და N15 საცხოვრებელი კორპუსების შესასვლელის და ეზოების რეაბილიტაცია, სტიქის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხანძრის შედეგად დაძვარი საცხოვრებელი სახლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, წინა წლებში შესრულებული სამუშაოებიდან დაკავებული საგარანტიო თანხების ანაზღაურება, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების შედგენა/კორექტირება/გამიჯვნა, ექსპერტიზის მომსახურება და სხვა...
პროგრამის მიზანი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	02 06		4113,35
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში შეძენილი იქნება საწვავი ისეთი მექანიზმებისათვის როგორც არის გრეიდერი, ექსკავატორი, ბულდოზერი, ავტო თვითმძღველი და სხვა, რომლებიც შეასრულებენ სხვადასხვა სახის მცირე სამუშაოებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაუთვალისწინებელ და განსაკუთრებულ შემთხვევაში, აგრეთვე განხორციელდება ქ. თელავში არსებული სასმელი წყლის „სოკო“-ების მოვლა - პატრონობის ღონისძიებები, „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული ღონისძიებები და სხვა...		
პროგრამის მიზანი	წარმოშობილი პრობლემების დროულად აღმოფხვრა, კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა. პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას: მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა; მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	02 06 01		394,91
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: საწვავის შეძენა ისეთი მექანიზმებისათვის, როგორც არის გრეიდერი, ექსკავატორი, ბულდოზერი, ავტო თვითმძღველი და სხვა, რომლებიც შეასრულებენ სხვადასხვა სახის სამუშაოებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაუთვალისწინებელ და განსაკუთრებულ შემთხვევაში, ქ. თელავში მშვიდობის ქუჩის მიმდებარედ არსებულ გზაგამყოფ გამწვანებულ ზოლში სახელმწიფო დროშის სადროშე 40მ სიმაღლის ბოძით და ფუნდამენტით მოწყობა, ექსკავატორ-დამტვირთველის შეძენა და სხვა...		
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის სოფლებში წარმოქმნილი გაუთვალისწინებელ და განსაკუთრებულ შემთხვევების დროული აღმოფხვრა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის „სოკო“	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	02 06 02		3,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამით განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სასმელი წყლის „სოკო“-ების მოვლა-პატრონობა, მათ შორის მოხმარებული წყლის ღირებულების ანაზღაურება.		
ქვეპროგრამის მიზანი	სასმელი წყლის „სოკო“-ების ფუნქციონირება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სრიგ-ის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	02 06 03		3715,44
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული ღონისძიებები. პროექტის ფარგლებში ხორციელდება თელავის ცენტრში ისტორიული დასახლების ურბანული განახლება-ყორჩობაშიშვილების ციხესთან მისასვლელი გზის, გადასახედის და მიმდებარე სკვერის რეაბილიტაცია; ქ. თელავში, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციურ ობიექტებთან მისასვლელი გზის და პარკინგის მოწყობა; პარკი „ნადივარის“ ტერიტორიაზე დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობა; საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჩოგბურთის კორტების მოდერნიზება ოთხივე სეზონზე ფუნქციონირებისათვის; ქ. თელავის აღმოსავლეთ ნაწილის ურბანული განახლება „მშვიდობის პარკის“ მოწყობით; ქალაქ თელავის ურბანული განახლება ალაზნის გამზირის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციით; ქ. თელავში გივი ჩოხელის სახელობის საფეხბურთო სტადიონზე არსებული სათადარიგო ფეხბურთის მოედნის რეაბილიტაცია და სხვა...	
ქვეპროგრამის მიზანი		ქვეპროგრამის განხორციელების მიზანია ქალაქ თელავის როგორც ურბანული ცენტრის სოციალური ეკონომიკური როლის გაძლიერება, ურბანული ტერიტორიების განვითარება.	

პროგრამის დასახელება	კოდი	სარიტუალო ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	02 07		60,0
პროგრამის განმახორციელებელი		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური	
პროგრამის აღწერა		პროგრამის განხორციელებისას დასუფთავდება და მოწესრიგდება მუნიციპალიტეტში არსებული სასაფლაოების ტერიტორიები ეკალბარდის, ბუჩქნარის და ნაგვისაგან.	
პროგრამის მიზანი		მოწესრიგებული სასაფლაოების ტერიტორიები.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	01 07 01		60,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის განხორციელებისას დასუფთავდება და მოწესრიგდება მუნიციპალიტეტში არსებული სასაფლაოების ტერიტორიები ეკალბარდის, ბუჩქნარის და ნაგვისაგან.	
ქვეპროგრამის მიზანი		მოწესრიგებული სასაფლაოების ტერიტორიები.	

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	02 08		22,0
პროგრამის განმახორციელებელი		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური	
პროგრამის აღწერა		პროგრამის განხორციელებისას მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობა მათი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.	
პროგრამის მიზანი		საზოგადოებრივი საპირფარეშოების ფუნქციონირება პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას: მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა; მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.	

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	02 09		1158,27
პროგრამის			

განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ღონისძიებები ითვალისწინებს დასახლებულ დასახლებებში საერთო კრებების/რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების და მასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებების დაფინანსებას.
პროგრამის მიზანი	დასახლების საჭიროებებიდან გამომდინარე, პრიორიტეტების გათვალისწინებით ღონისძიებების განხორციელება. პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა; მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება; მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური.

პროგრამის დასახელება	კოდი	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	02 10		201,0
პროგრამის განმახორციელებელი		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური	
პროგრამის აღწერა		პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ ვარდისუბანში კემპინგის მოწყობა და სხვა...	
პროგრამის მიზანი		კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას მიზანი 8: სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის.	

პროგრამის დასახელება	კოდი	მონაწილეობითი ბიუჯეტირება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	02 13		200,0
პროგრამის განმახორციელებელი		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური	
პროგრამის აღწერა		მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის ზრდა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 2 პროექტი, რომელმაც მიიღო ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა. სკოლამდელი დაწესებულებების ეზოებში ფუნქციური სივრცეების მოწყობა და ქ. თელავში, თამარის ქუჩაზე შინამოსვლელთა სტენდის და სკვერის განახლება.	
პროგრამის მიზანი		პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე	

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (კოდი 03 00)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მიუსაფარი ცხოველებისაგან მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები. პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანებითი სამუშაოები.

ათასი ლარი

კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1586. 47	0. 00	1,586. 47
03 01	დასუფთავების ღონისძიებები	1000. 00	0. 00	1,000. 00
03 02	გარემოს დაცვის ღონისძიებები	150. 00	0. 00	150. 00

03 03	პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებელი ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	286.47	0.00	286.47
03 04	მიუსაფარი ცხოველებისგან მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები	150.00	0.00	150.00

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავების ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	03 01		1000,0
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში კომფორტული გარემოს შექმნისათვის ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტერიტორიაზე სანიტარულ სისუფთავეს. მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი ქალებისთვის მნიშვნელოვანია. პროგრამის განხორციელებისას ხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ქალაქ თელავის ქუჩების ყოველდღიურად დაგვა-დასუფთავება და სხვა.		
პროგრამის მიზანი	სუფთა გარემოს უზრუნველყოფა პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნებს მიღწევას მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარემოს დაცვის ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	03 02		150.00
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საჭიროების შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამზარი და საფრთხის შემცველი ხეების მოჭრა-ვარჯის ფორმირება და სხვა ღონისძიებები.		
პროგრამის მიზანი	გამზარი და საფრთხის შემცველი ხეების მოჭრა-ვარჯის ფორმირება. პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნებს მიღწევას მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებელი ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	03 03		286,47
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს დასასვენებელი პარკების, სკვერების და სხვა გამწვანებელი ზონების მოვლა-პატრონობას. ჩატარებული იქნება სხვადასხვა სახის სამუშაოები (მწვანე საფარის გათიბვა, მწვანე ბალახის დაგროვება და გატანა, ხე-მცენარეების დეკორატიული სხვა, მწვანე ნარგავების მოწყობა, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა და სხვა); მოვლა-პატრონობა განხორციელდება მთელი წლის განმავლობაში. ქ. თელავში ცენტრალურ ნაწილში გამწვანებულ ტერიტორიაზე სარწყავის სისტემის მოწყობა და სხვა...		
პროგრამის მიზანი	მოვლილი მწვანე ნარგავები და მწვანე საფარი პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნებს მიღწევას მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მიუსაფარი ცხოველებისგან მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	03 04		150,0
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეტესაწესრიგად დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში დროებით გადაყვანა და შესაბამისი მომსახურების გაწევა და სხვა.		
პროგრამის მიზანი	მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.		

3. განათლება (კოდი 04 00)

სკოლამდელი განათლების განვითარების სისტემის სტრატეგიული მიზანია, სკოლამდელი აღზრდის სისტემა გახდეს სკოლასა და შემდგომ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტი. პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ასევე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/ მეთოდოლოგიის დახვეწას, კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალურ გამტარუნარიანობას და სხვა. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას. განხორციელდება მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ღონისძიებები. აგრეთვე, აღსაზრდელებისთვის წლის განმავლობაში ჩატარდება სხვადასხვა, როგორც სპორტული ისე კულტურული ღონისძიებები.

ათასი ლარი

კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
04 00	განათლება	9522.66	367.82	9,154.84
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	8510.74	0.00	8,510.74
04 02	სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	457.0	0.00	457.01
04 03	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	137.10	0.00	137.10
04 04	საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები	417.82	367.82	50.00

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2024 წლის დაფინანსება
			(ათას ლარებში)
	04 01		8510,74
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო		
პროგრამის აღწერა	თელავის მუნიციპალიტეტში 32 ბაგა-ბაღია. ბაღებში 124 ასაკობრივი ჯგუფია; დასაქმებულია 715 პირი (მ.შ. ქალი - 693, მამაკაცი - 22). თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მომსახურებით სარგებლობს 2714 აღსაზრდელი (მ.შ. გოგონები-1266, ვაჟები - 1448). პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს თანამშრომელთათვის საშუალო პირობების შექმნა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება. ადაპტირებული ინფრასტრუქტურის შექმნით უზრუნველყოფილია სკოლამდელი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა.		
პროგრამის მიზანი	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სრულფასოვანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნებს მიღწევას მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის; მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	2024 წლის დაფინანსება
			(ათას ლარებში)
	04 02		457,0
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	განხორციელდება ქ. თელავში N1 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა; სოფელ წინანდალში N2 ბაგა-ბაღის გეოლოგიური დასკვნის შესყიდვა, შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით და სხვა...		
	სკოლამდელი დაწესებულებების არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია		

პროგრამის მიზანი	პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნებს მიღწევას მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის; მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.
-------------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	04 03 01		137,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი		
ქვეპროგრამის აღწერა	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში არსებულ წრეებში გაერთიანებული მოსწავლეები იმაღლებენ განათლების დონეს. მეცადინეობები მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილს. უყალიბდება ჯანსაღი ცხოვრების წესი - თავისუფალი დროის სწორედ გამოყენება. ფუნქციონირებს შემდეგი წრეები: მათემატიკის, ინგლისურის, ქართული ლიტერატურის, ხატვის, დიზაინის, თეატრის, კულინარიის, ხაზვის, ჭადრაკის, სიმღერის, ფანდურის, ცეკვის, თეატრალურის, რუსული ენის და სხვა. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის და მუნიციპალიტეტის ღონისძიებებში, აგრეთვე სხვადასხვა ფესტივალებში. პროგრამა ითვალისწინებს მასტერკლასებს, სასწავლო შედეგებით მიზნით ექსკურსიებსა და ლექციებს სხვადასხვა თემებზე. წრეობრივი მუშაობა გათვლილია მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერესებზე.		
ქვეპროგრამის მიზანი	მოსწავლეთა განათლების დონის ამაღლება და შედეგებითი თვალსაწიერის გაფართოება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	04 04		417,82
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მომსახურება, 2023-2024 სასწავლო წლის თელავის მუნიციპალიტეტის სკოლების წარჩინებულ კურსდამთავრებულთათვის წახალისება ფულადი საჩუქრით და სხვა.		
პროგრამის მიზანი	სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებულების მხარდაჭერა. საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა, საჯარო სკოლებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.		

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვასა და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობასა და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პრიორიტეტის ფარგლებში, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პრიორიტეტის მიზანია, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლენა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა. თელავის მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავებას, ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განახლება.

ათასი ლარი

კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	7292. 40	0. 00	7,292. 40
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	3191. 27	0. 00	3,191. 27
05 01 01	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	762. 87	0. 00	762. 87
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2248. 40	0. 00	2,248. 40

05 01 03	სპორტული ღონისძიებები	180.00	0.00	180.00
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	3037.57	0.00	3,037.57
05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	2932.19	0.00	2,932.19
05 02 02	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	48.38	0.00	48.38
05 02 03	კულტურული ღონისძიებები	57.00	0.00	57.00
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	105.00	0.00	105.00
05 03 01	ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	105.00	0.00	105.00
05 04	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	40.00	0.00	40.00
05 05	ძველთა დაცვის ღონისძიებები	334.00	0.00	334.00
05 06	დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა	584.57	0.00	584.57

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სფეროს განვითარება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 01		3191,27
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება, ა(ა)იპ - თელავის საფეხბურთო სკოლა თელავი, ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება თელავი, ა(ა)იპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი		
პროგრამის აღწერა	სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა შეკრებების უზრუნველყოფა, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება და სხვა. პროგრამა ხელს უწყობს სპორტულ აქტივობებში გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის განხორციელებას და სპორტული წრეების საქმიანობაში გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას.		
პროგრამის მიზანი	სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 01 01		762,87
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. თელავში ალაზნის გამზირზე მინი სტადიონის რეაბილიტაცია, სოფელ ნაფარეულში და სოფელ ხანიორეში მინი სტადიონის მოწყობა, ქ. თელავში მირიან ცალქელაძის სახელობის ჭიდაობის სპორტული სკოლის იატაკის და კედლების რეაბილიტაცია, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა და სხვა...		
ქვეპროგრამის მიზანი	სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 01 02		2248,40
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება, ა(ა)იპ - თელავის საფეხბურთო სკოლა თელავი, ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება თელავი, ა(ა)იპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი		
ქვეპროგრამის აღწერა	სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა შეკრებების უზრუნველყოფა, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ - თელავის		

	მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება, ა(ა)იპ - თელავის საფეხბურთო სკოლა თელავი, ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება თელავი, ა(ა)იპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი.
ქვეპროგრამის მიზანი	სპორტული ორგანიზაციების გამართული ფუნქციონირება, შეჯიბრებებში და ტურნირებში მონაწილეობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 01 02 01		302,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა	ჩოგბურთის სპორტული ჯგუფების რაოდენობის გაზრდა, ადგილობრივი, ქვეყნის და საერთაშორისო ტურნირების ორგანიზება და მხარდაჭერა, წარმატებული სპორტსმენებისთვის სხვადასხვა რანგის ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა, შშმ პირთა სპორტში ჩართულობა და ინტეგრირება, სასწავლო დაწესებულებებში ბავშვთა სექციების ორგანიზება სპორტული (ჩოგბურთის) ორიენტაციის განვითარების ხელშეწყობისთვის. წარმატებული სპორტსმენების აღჭურვა შესაბამისი სპორტული ინვენტარით და მათი წახალისება, მწვრთნელ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა, საქართველოს ასაკობრივი ნაკრები გუნდებისთვის კანდიდატების მოძიება, მოედნების აღჭურვილობის შექმნა და სხვა.		
ქვეპროგრამის მიზანი	შეუფერხებელი ფუნქციონირება, ხელსაყრელი პირობების შექმნა ჩოგბურთში რეგულარული ჩართულობისათვის; ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ თელავის საფეხბურთო სკოლა „თელავი“	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 01 02 02		436,80
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა „თელავი“		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ბავშვთა ჩართულობა სპორტში, შესაბამისი სპორტული ინვენტარით აღჭურვა, ორგანიზაციის გამართული ფუნქციონირება.		
ქვეპროგრამის მიზანი	შეუფერხებელი ფუნქციონირება, ორგანიზებულად ჩატარებული შეჯიბრებები და ტურნირები		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 01 02 03		976,10
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სპორტულ კლუბთა გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა	სპორტულ კლუბთა გაერთიანება ახორციელებს წლიური საწვრთნელი პროცესის დაგეგმვას და ორგანიზებას, ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული სექციები: რაგბი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, კალათბურთი, ხელბურთი, მხატვრული ტანვარჯიში, ფრენბურთი, ბილიარდი, სპორტული ტირი. სპორტულ კლუბთა გაერთიანებაში ჩართული მოზარდები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ტურნირებსა და შეჯიბრებებში, როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე საზღვარგარეთ. ხდება სპორტის სახეობების მიხედვით პერსპექტიული სპორტსმენების მომზადება, ეროვნული ნაკრები გუნდების წევრობის ან წევრობის კანდიდატობისათვის, მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა, მონაწილეობის მიღება სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში.		
ქვეპროგრამის მიზანი	შეუფერხებელი ფუნქციონირება, ორგანიზებულად ჩატარებული შეჯიბრებები და ტურნირები		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 01 02 04		533,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი		
ქვეპროგრამის აღწერა	ჭიდაობის სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული სახეობები: მკლავჭიდი, კრიგი, ძალოსნობა, კარატე, ძიუდო. სკოლის მიზანია გუნდების ჩამოყალიბება, მონაწილეობის მიღება სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში. მასობრივი და სამოყვარულო ღონისძიების ორგანიზება.		
ქვეპროგრამის მიზანი	შეუფერხებელი ფუნქციონირება, ორგანიზებულად ჩატარებული შეჯიბრებები და ტურნირები, სპორტის სახეობების მიხედვით შექმნილი სპორტული უნარ-ჩვევების რეალიზება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 01 03		180,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს სპორტული ღონისძიებების ჩატარებას სპორტის სხვადასხვა სახეობებში. სპორტული და ახალგაზრდული აქტივობების მხარდაჭერას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: სასკოლო - სპორტული ოლიმპიადა - თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი საჯარო სკოლის მოსწავლეები იღებენ სასკოლო ოლიმპიადაში მონაწილეობას. თამაშები ჩატარდება სპორტის სხვადასხვა სახეობებში, როგორც ვაჟებში ისე, გოგონებში; განხორციელდება გუნდების რეგისტრაცია, რის შემდეგაც შეიქმნება კონკრეტული სახეობების კალენდარი და სამოქმედო გეგმა. გამარჯვებული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ რეგიონულ სასკოლო ოლიმპიადაში. ღონისძიების მიზანია ბავშვების აქტიური ჩართულობა სპორტულ აქტივობებში და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. შესაბამისი სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და სასკოლო სპორტის გააქტიურება; მუნიციპალური სპორტული ტურნირები „იკხოვრე სპორტით“; Off-Road - რთული რელიეფზე მანქანების რბოლა; მოტო სპორტი ენდურო-მოტოკროსის სახეობაში, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები - სამოქალაქო და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერით და მათი დაინტერესებით, რათა აქტიურად იყვნენ ჩართულნი სპორტულ ღონისძიებებში. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია აგრეთვე, ქ. თელავში ჩოგბურთის საერთაშორისო ტურნირის ჩატარების თანადაფინანსება, კახეთის რეგიონში ქართული ჭიდაობის აღორძინებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით თანადაფინანსება და სხვა.		
ქვეპროგრამის მიზანი	სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02		3037,57
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ნიკო სულხანიშვილის თელავის №1 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ქ. თელავის N2 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის "საბიბლიოთეკო გაერთიანება", ა(ა)იპ - ზაიარა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტებში მონაწილეობას, მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარე-მკვლაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობითი საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას, მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობას, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები. სხვადასხვა სახალხო და რელიგიური დღესასწაულების ჩატარებას. კულტურის ღონისძიებები და კულტურის ორგანიზაციების სერვისები იგეგმება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, რათა პასუხობდეს ქალების/გოგონების, კაცების/ბიჭების განსხვავებულ საჭიროებებს და ითვალისწინებდეს მათ ინტერესებს.		
პროგრამის მიზანი	კულტურული დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა, ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების წარმოჩინება, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნებს მიღწევას მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01		2932,19
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ნიკო სულხანიშვილის თელავის №1 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ქ. თელავის N2 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის "საბიბლიოთეკო გაერთიანება", ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა		
	აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფინანსდება და ფუნქციონირებს კულტურული ორგანიზაციები,		

ქვეპროგრამის აღწერა	რომლებიც ასორციელებენ ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას, სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტების მოწყობას, მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამოქვეყნებით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობას და სხვა.
ქვეპროგრამის მიზანი	კულტურული დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა, ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების წარმოჩინება, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 01		130,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ხელს შეუწყობს ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს ხალხური შემოქმედების შენარჩუნებასა და განვითარებაში, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის მოძიებასა და პოპულარიზაციაში. თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი მონაწილეობს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებში. განხორციელდება შემოქმედებითი კოლექტივების არსებული სასცენო კოსტიუმების განახლება, ანსამბლის ბაზაზე ფუნქციონირებს სკოლა-სტუდია, სადაც 6 წლიდან ბავშვები შეისწავლიან ქორეოგრაფიულ საწყისებს, სამომავლოდ მოხდება მათი ჩამოყალიბება პროფესიონალ შემსრულებლად.		
ქვეპროგრამის მიზანი	შეუფერხებელი ფუნქციონირება, ქართული საცეკვაო ხელოვნების პროპაგანდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ-სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ნიკო სულხანიშვილის თელავის #1სამუსიკო სკოლა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 02		144,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ-სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ნიკო სულხანიშვილის თელავის #1 სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	თელავის #1 სამუსიკო სკოლაში სწავლობს 132 მოსწავლე (გოგო - 91, ბიჭი - 41) შემდეგ განყოფილებებზე: საფორტეპიანო, საგუნდო, სიმებიანი (გიტარა, ვიოლინო) სოლო სიმღერა, კლასიკური ვოკალი (ესტრადა), ფოლკლორი. მოსწავლეები მონაწილეობს იღებენ სხვადასხვა ფესტივალ-კონკურსებში.		
ქვეპროგრამის მიზანი	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების თელავის #2 სამუსიკო სკოლა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 03		121,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების თელავის #2 სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	სკოლაში სხვადასხვა განყოფილებებზე სწავლობს 103 მოსწავლე (გოგო - 77, ბიჭი -26), შემდეგ განყოფილებებზე - ფორტეპიანო, ვიოლინო, გიტარა, ხალხური საკრავები, სიმღერა, ფოლკლორი; მონაწილეობენ ადგილობრივ და რესპუბლიკურ ფესტივალ - კონკურსებში. ხორციელდება ზრუნვა კლასიკური მუსიკის და ფოლკლორის პოპულარიზაციასა და სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.		
ქვეპროგრამის მიზანი	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 04		115,50
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	სკოლაში სწავლობს 120 მოსწავლე (გოგო- 90, ბიჭი -30), ისწავლება შემდეგ საგნები: ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია, ძერწვა, ხელოვნების ისტორია, ანიმაცია. ხორციელდება სხვადასხვა სახის დასახატი საგნების მოძიება-შეგროვება, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების გაცნობა. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ როგორც ადგილობრივ, ასევე რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებზე და ფესტივალებში დიდი წარმატებით. სკოლაში ხორციელდება აგრეთვე, ანიმაციის საფუძვლების შესწავლა, მარტივი		

	კლიპების და ფილმების შექმნა. ხდება მოსწავლეებისა და მათი ნამუშევრების გაგზავნა სხვადასხვა გამოფენებზე, კონკურსებზე და ფესტივალებზე (ბათუმის ანიმაციის საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“, თბილისის „ოქროს პეპელა“ და სხვები). ტარდება მოწვეული გამოჩენილი მხატვრების მასტრკლასები.
ქვეპროგრამის მიზანი	სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, სახვითი ხელოვნების საფუძვლების შესწავლა. ანიმაციის სწავლების განვითარება - ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის “საბიბლიოთეკო გაერთიანება”	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 05		483,80
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის “საბიბლიოთეკო გაერთიანება”		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ბიბლიოთეკა არის კულტურული, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-დამხმარე ხასიათის ინსტიტუტი, რომელიც ორგანიზებას უწევს წიგნების, ჟურნალების, გაზეთების (ბეჭდური ნაშრომების) საზოგადოებრივ გამოყენებას. ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანაა, სხვადასხვა დარგის: ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური, საბუნებისმეტყველო, სამედიცინო, მხატვრული ისტორიული შინაარსის მქონე ლიტერატურა შესთავაზოს ყველა ასაკის მკითხველს. ასევე ახალი ლიტერატურის მიღება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგე ბარათების წარმოება. საინვესტიციო დავთარში გატარება, ელექტრონული კატალოგის შექმნა და არსებული საბარათე კატალოგის შევსება ახალი ბარათებით, ჟურნალ-გაზეთების, სტატიების კარტოთეკების შევსება მასალებით და მათი დამატება ელექტრონულ კატალოგში.</p> <p>პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა რაც შეიძლება მეტი კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიება, სამაგიდო თამაშები და სალონური შეხვედრები, რომელიც ორიენტირებული იქნება, როგორც ახალგაზრდების ჩართულობასა და მივიწყებული წიგნების გაცოცხლებაში, აგრეთვე ახალი წიგნების გაცნობაში და სხვა.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის ასაკობრივი, პროფესიული ინტერესის, სკოლამდელი და სასკოლო ასაკის პირების ლიტერატურული ინტერესების დაკმაყოფილება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 06		1476,01
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში, თელავის კულტურის ცენტრთან არსებული მუსიკალური ანსამბლების მეშვეობით, ხორციელდება ხალხური შემოქმედების ფოლკლორულ - ეთნოგრაფიული შემოქმედების ძიება და პოპულარიზაცია, ხალხური ხელოვნების მოვლა, დაცვა და განვითარება. კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა, სხვადასხვა კულტურული და ახალგაზრდული აქტივობების ორგანიზება/განხორციელება, მათ შორის ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. კულტურის ცენტრში გაერთიანებული საშემსრულებლო კოლექტივების ხელშეწყობა (კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, კოსტუმირება და სხვა); მათი შემოქმედების განვითარებისათვის კულტურის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეთავაზება და მაქსიმალური მხარდაჭერა, ქ. თელავში, ვახვასიშვილების კოშკის ჩრდილო-დასავლეთით და მის მიმდებარედ არსებული კულტურის ცენტრის შენობის რეაბილიტაცია და სხვა.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი	ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 08		190,27
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი		
ქვეპროგრამის აღწერა	კულტურის და დასვენების პარკების გაერთიანება "ნადიკვარი" დამსვენებელს სთავაზობს კომფორტულ გარემოს. ხორციელდება სკვერების სეზონური დეკორატიული ყვავილებით გაშენება/განახლება, მარადმწვანე ბუჩქების და ხემცვნარეების მოვლა პატრონობა და სხვა...		
ქვეპროგრამის მიზანი	დამსვენებლებისათვის შექმნილია კომფორტული გარემო		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 09		70,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა		
	სკოლაში სწავლობს 65 მოსწავლე (გოგო-49, ბიჭი - 16) სხვადასხვა განყოფილებებზე. ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორგესტრო (ფლეიტა) და ხალხური საკრავების (ფანდური)		

ქვეპროგრამის აღწერა	განყოფილებები. მონაწილეობენ ადგილობრივ და რესპუბლიკურ ფესტივალ - კონკურსებში. ხორციელდება ზრუნვა კლასიკური მუსიკის და ფოლკლორის პოპულარიზაციასა და სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.
ქვეპროგრამის მიზანი	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-სარიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 10		126,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	სკოლაში სხვადასხვა განყოფილებებზე სწავლობს 105 მოსწავლე (გოგო - 72, ბიჭი - 38) შემდეგ განყოფილებებზე - ფორტეპიანო, ვიოლინო, ხალხური საკრავები, საგუნდო, ვოკალი და სოლო სიმღერა, ფოლკლორი, გალობა; მონაწილეობენ ადგილობრივ და რესპუბლიკურ ფესტივალ - კონკურსებში. ხორციელდება ზრუნვა კლასიკური მუსიკის და ფოლკლორის პოპულარიზაციასა და სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის. წინანდლის სამუსიკო სკოლა ემსახურება სოფ. ვანთის, სოფ. ბუშეტის, სოფ. ქვემო ხოდაშნის და სოფ. წინანდლის მოსწავლეებს.		
ქვეპროგრამის მიზანი	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-სარიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 11		75,40
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	სკოლაში ხორციელდება შემდეგი სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამები: საფორტეპიანო, საორგანო, სახალხური, ხალხური ტრადიციული მუსიკა, ხალხური საკრავები, ხელოვნების განყოფილებები. სკოლაში სწავლობს 51 მოსწავლე (გოგო - 33, ბიჭი - 18). განხორციელდება ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.		
ქვეპროგრამის მიზანი	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-სარიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 02		48,38
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ელენე ახვლედიანის სახელობის თელავის სამხატვრო სკოლის რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა და სხვა...		
ქვეპროგრამის მიზანი	ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 03		57,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა მოიცავს მთელი წლის განმავლობაში, თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდა ხელოვანთა და მეწარმეთა შემოქმედების პოპულარიზაცია, ხელშეწყობას, განხორციელდება მასტერკლას - სემინარები თანამედროვე ხელოვნებაში ოთხი მიმართულებით: თანამედროვე კინო. კერამიკა, თეატრი და მხატვრობა; სხვადასხვა კულტურული ინიციატივების ხელშეწყობას (გამოფენები, კონცერტები, ფესტივალები და სხვა) და სხვა.		
ქვეპროგრამის მიზანი	კულტურული ცხოვრების მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა, კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 03		105,0
პროგრამის	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის		

განმახორციელებელი	საქმეთა სამსახური
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობა; საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტი „ეტალონი“; საახალწლო ახალგაზრდული შეხვედრა; ექსკურსია - სხვადასხვა შემეცნებითი ექსკურსიების, ლაშქრობების, ბანაკების მოწყობა მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის, გასართობი და შემეცნებითი ღონისძიებები და სხვა...
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს თელავის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას, რათა მათ მოახდინონ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და აქტიურად იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 03 01		105,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობა; საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტი „ეტალონი“; საახალწლო ახალგაზრდული შეხვედრა; ექსკურსია - სხვადასხვა შემეცნებითი ექსკურსიების, ლაშქრობების, ბანაკების მოწყობა მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის, გასართობი და შემეცნებითი ღონისძიებები და სხვა...		
ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს თელავის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას, რათა მათ მოახდინონ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და აქტიურად იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 04		40,0
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა - ჟურნალ „ოლე“-ს და „საქართველოს მოამბე“-ს. აღნიშნული პროგრამის განხორციელებით ხდება თელავის მუნიციპალიტეტში მოღვაწე მწერლების და პუბლიცისტების ნაწარმოებების გამოქვეყნება, დაძველები მწერლების გაცნობა საზოგადოებისათვის. პროგრამის მიზანია თელავის მუნიციპალიტეტში არსებული მხატვრულ-პუბლიცისტური გამომცემლობის ხელშეწყობა		
პროგრამის მიზანი	თელავის მუნიციპალიტეტში არსებული მხატვრულ-პუბლიცისტური გამომცემლობის ხელშეწყობა		

პროგრამის დასახელება	კოდი	ძველთა დაცვის ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 05		334,0
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის განხორციელება ორიენტირებულია საინფორმაციო ბაზის გამდიდრებაზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების გამოვლენაზე, შესწავლაზე, გადარჩენასა და შენარჩუნებაზე. დაგეგმილია ქ. თელავში „კაკლის წყაროს“ რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გამოვლენა/კვლევა, სოფელ თეთრწყლებში ფსიტის ციხის არქეოლოგიური სამუშაოები, დაბახნების ტერიტორიის არქეოლოგიური სამუშაოები, დაბახნების ტერიტორიის კონსერვაცია, ყორჩიბაშიშვილების სამხრეთ-აღმოსავლეთ ბურჯის რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა, ქ. თელავში ისტორიული ჭადრის ხის სხვადასხვა სახის ღონისძიებების განხორციელება, საგამომცემლო მომსახურება და სხვა...		
პროგრამის მიზანი	შენარჩუნებულია მნიშვნელოვანი, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლები. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, გაზრდილია კულტურული ძეგლების ცნობადობა. პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნებს მიღწევას მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 06		584,57
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. თელავში კავკასიონის ქუჩის მიმდებარედ სკვერის და გამწვანებული ტერიტორიის კეთილმოწყობა, ქ. თელავში ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებული სკვერის (მაწანწარაზე) რეაბილიტაცია, ქ. თელავში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ (მინი		

პროგრამის აღწერა	სტადიონის მიმდებარე ტერიტორია) სკვერის მოწყობა, სოფელ რუისპირში სკვერის მოწყობა, ქ. თელავში, კოსტავას ქუჩაზე არსებული „9 აპრილის“ სკვერის რეაბილიტაცია, ენერგოეფექტური სკამის რეაბილიტაცია, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა და სხვა...
პროგრამის მიზანი	კომფორტული გარემოს შექმნა, მოწყობილობები დასასვენებელი სივრცეები. პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნებს მიღწევას მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება. განხორციელდება მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და ფართით უზრუნველყოფა, პროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ათასი ლარი

კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4061.85	0.00	4061.85
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	270.10	0.00	270.10
06 01 01	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი	270.10	0.00	270.10
06 02	სოციალური დაცვა	3771.75	0.00	3,771.75
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	45.00	0.00	45.00
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	304.70	0.00	304.70
06 02 02 01	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმპ შვილების სოციალური დაცვა	4.70	0.00	4.70
06 02 02 02	სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება	300.00	0.00	300.00
06 02 03	უმწეოთათვის უფასო სასადილო დაფინანსება	1075.00	0.00	1,075.00
06 02 04	ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	10.00	0.00	10.00
06 02 05	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	298.00	0.00	298.00
06 02 06	ვეტერანთა საზოგადოება	2.00	0.00	2.00
06 02 07	მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის, კომუნალურ გადასახადებზე დახმარების ღონისძიებები	109.00	0.00	109.00
06 02 08	დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები	120.00	0.00	120.00
06 02 09	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	75.00	0.00	75.00
06 02 10	სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები	1414.89	0.00	1,414.89
06 02 11	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	300.76	0.00	300.76
06 02 14	1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირთა დახმარება	2.40	0.00	2.40
06 02 15	საქართველოს წითელი ჯვარის თანადაფინანსება	15.00	0.00	15.00
06 03	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	20.00	0.00	20.00

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის დაცვა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 01		270,10
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი		
პროგრამის აღწერა	ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა წარმოადგენს პროცესს, რომელიც მიმართულია ადამიანის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის კონტროლისა და გაუმჯობესებისაკენ. მისი მიზანია ადამიანთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლისა და შესაბამისად კონტროლის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობის გზით. აღნიშნულის ფარგლებში ფინანსდება აიპი „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“, რომლის მიზანია თვითმმართველობის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, მოსახლეობისათვის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.		
პროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 01 01		270,10
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდემიის მხედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით, ანტირაბიულ საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები ფაუნის შესწავლა და დადგენა, „C“ ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება, სამიზნე ჯგუფების ტესტირება და მონიტორინგი. სამედიცინო სტატისტიკის წარმოება და ანგარიშგება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.		
ქვეპროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური დაცვა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02		3771,75
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერია, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს გენდერულად მგრძობიარე სოციალური პოლიტიკის განხორციელებას და სოციალური პროგრამის დაგეგმარებისა და განხორციელების დროს საჭიროებების გათვალისწინებას. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისთვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, კერძოდ: - ახალშობილთა ოჯახების (სოციალურად დაუცველი) (ერთჯერადი) და მრავალშვილიანი ოჯახების (ყოველთვიური) დახმარებას; - სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების დაფინანსება/თანადაფინანსებას; - ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქეების ტრანსპორტირების ხარჯებით უზრუნველყოფას; - სოციალურად გაჭირვებული ბენეფიციარების ყოველდღიურად, დღეში ერთჯერ, საკვებით უზრუნველყოფას; - ოჯახებს ვისაც აქვთ საცხოვრებლად უვარგისი ბინები ან საერთოდ არ გააჩნიათ საცხოვრებელი, ქირით თანადაფინანსების უზრუნველყოფა. - სხვა სოციალურ ღონისძიებებს		
პროგრამის მიზანი	სოციალურად დაუცველი, მოწყვლადი ჯგუფების მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა; მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
----------------------	------	----------------------------	--------------------------------------

	06 02 01		45,0
